განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს სკოლა-ლიცეუმი ლამპარის მიერ
ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ქეთევან ბოტკოველი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.
წევრ(ებ)ი:
თამარ მიდელაშვილი- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☒ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	**შპს სკოლა-ლიცეუმი ლამპარი**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**ს/კ: 208148930**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი, ვარკეთილი, კალოუბნის ქ. 10
ფაქტობრივი მისამართი	თბილისი, ვარკეთილი, კალოუბნის ქ. 10
საფოსტო ინდექსი	**0182**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	lamparitamari@yahoo.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	**245 57 02, 245 57 08 , (599) 50 17 21**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	**MES 1 25 0001541251, 06.11.2025**
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	**2025 წლის 14 ნოემბერი**

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა და დასკვნის პროექტი

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 6 ნოემბრის №MES 1 25 0001541251 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს — თავმჯდომარე ქეთევან ბოტკოველს (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი) და წევრ თამარ მედელაშვილს (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი) — დაევალა არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება შპს „სკოლა-ლიცეუმ ლამპარში" (ს/კ: 208148930), ქალაქ თბილისში, 2025 წლის 14 ნოემბერს.
ბრძანების გამოცემას საფუძვლად დაედო ცენტრში 2025 წლის 28 ოქტომბრის №1419597 წერილით შემოსული კორესპონდენციაში აღწერილი გარემოებების შესწავლა და შემოწმება, ასევე დებულების მე-5 მუხლით განსაზღვრულ სტანდარტ(ებ)თან მათი შესაბამისობის დადგენის აუცილებლობა.

ვიზიტი განხორციელდა წინასწარ დაგეგმილი დღის წესრიგის შესაბამისად, რომელიც გადაეცა სკოლის დირექტორს ვიზიტის დღეს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანებასთან ერთად. უნდა აღინიშნოს, რომ პროცესი წარიმართა თანამშრომლობის ატმოსფეროში. სკოლის ადმინისტრაციამ უზრუნველყო მოსწავლეებთან გასაუბრებისთვის საჭირო მშობელთა თანხმობების მოპოვება. მონიტორინგის ფარგლებში გასაუბრებები გაიმართა სკოლის დირექტორთან, მასწავლებლებთან, კლასის დამრიგებლებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან და ასევე მომჩივან მშობელთან. ექსპერტთა შეკითხვები შეეხო ცენტრში შემოსულ კორესპონდენციაში ასახული გარემოებების დადგენას, რომელიც ეხებოდა სასწავლო დაწესებულებაში მომხდარი ფიზიკური ძალადობის შემთხვევას, სკოლის ადმინისტრაციის არასათანადო რეაგირებას, მშობელთა უკმაყოფილებასა და უსაფრთხო გარემოს დაცვის მექანიზმების დარღვევას.

მომჩივანი მშობლის მიერ აღწერილი გარემოებები

კერძოდ - მშობლის განცხადებით, სასწავლო დაწესებულებაში მოხდა ინციდენტი, რომლის შედეგადაც მის შვილს თანაკლასელმა მიაყენა ფიზიკური დაზიანება - თვალის არეში, ჰერიოკულურ მიდამოში ღია ჭრილობის სახით. მშობელი შემთხვევის შესახებ ინფორმირებული იქნა კლასის დამრიგებლის მიერ სატელეფონო ზარის საშუალებით. ადგილზე მისულ მშობელს ბავშვი დახვდა აშკარა დაზიანებით. რამდენიმე წუთში ადგილზე მივიდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა და ორი გამომძიებელი.

სკოლის მიერ გამოძახებულმა სასწრაფო დახმარების ბრიგადამ მოსწავლეს აღმოუჩინა პირველადი სამედიცინო დახმარება და შემდგომ გადაიყვანა კლინიკა „ნიუ ჰოსპიტალში", სადაც მას ჩაუტარდა შესაბამისი კვლევები. ბავშვს სამედიცინო დაწესებულებაში ახლდა მშობელი და კლასის დამრიგებელი. ჩატარებული გამოკვლევების შედეგად მოსწავლეს დაადეს შვიდი ნაკერი, აგრეთვე ჩაუტარდა თავის ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფია და ოფთალმოლოგის კონსულტაცია. დამატებითი კვლევის საფუძველი იყო ის, რომ მოსწავლე

ატარებს სათვალეს ასტიგმატიზმის გამო და არსებობდა ეჭვი, რომ დაზიანებისას თვალში შეიძლებოდა ნამსხვრევი ჩარჩენილიყო. თუმცა დაზიანების სიმძიმიდან გამომდინარე - თვალის მიდამოში არსებული დიდი ჰემატომის გამო - სრული დათვალიერება ვერ განხორციელდა.

მშობლის მიერ წერილში აღწერილი გარემოების თანახმად, ინციდენტის დღეს დირექტორმა არ გამოხატა სათანადო თანაგრძნობა და პოლიციის მისვლისთანავე დატოვა კაბინეტი, სადაც იმყოფებოდა ბავშვთან ერთად. მოგვიანებით, იმავე საღამოს მშობელს დაუკავშირდნენ პოლიციიდან ახსნა-განმარტების მისაცემად, აგრეთვე დაუკავშირდა [redacted] მოსწავლის მშობელი, რომელმაც შესთავაზა სამედიცინო ხარჯების ანაზღაურება, თუმცა [redacted] მშობელმა ამ შეთავაზებაზე უარი განაცხადა.

დირექტორი მშობელს დაუკავშირდა მხოლოდ საღამოს საათებში, მოუხადა ბოდიში და განმარტა, რომ დაკავებული იყო და ამიტომ ვერ მოახერხა დროული დაკავშირება.

როგორც მომჩივანი მშობელი აღწერს, ინციდენტმა გამოიწვია სხვა მოსწავლეთა მშობელთა შეშფოთებაც. ისინი მასთან კომუნიკაციის დროს აღნიშნავდნენ, რომ მათი შვილებიც იყვნენ ფსიქოლოგიური შოკის მდგომარეობაში მომხდარის გამო და რომ არ მიიყვანდნენ შვილებს სკოლაში მანამ, სანამ [redacted] მოსწავლე არ იქნებოდა განრიდებული და სკოლა არ გაატარებდა შესაბამის ზომებს.

მშობლის განმარტებით, აღნიშნული საკითხი განხილვის საგნად იქცა მშობელთა და მასწავლებელთა საერთო ონლაინ ჯგუფშიც, სადაც ასევე ითქვა იმის შესახებ, რომ მშობლები ბავშვებს სკოლაში არ გაუშვებდნენ. დირექტორის დავალებით, ერთ-ერთმა პედაგოგმა ჯგუფში განათავსა შეტყობინება – იგი მიუთითებდა, რომ მშობლები არ სცემენ პატივს სკოლის შინაგანაწესს და თუ პირობები არ მოსწონთ, შეუძლიათ შვილები სხვა სკოლაში გადაიყვანონ. ამავე წერილში პედაგოგი იცავდა [redacted] მოსწავლის ქცევას და მას ბავშვურ ემოციებს მიაწერდა.

მშობლის განცხადებით, აღნიშნული მოსწავლე სკოლაში გადმოვიდა ოქტომბრის თვეში და მას უკვე აღენიშნებოდა რთული ურთიერთობა თანაკლასელებთან – იყენებდა შეუფერებელ სიტყვებს და ავლენდა აგრესიულ ქცევებს, რაც არაერთხელ გახდა კლასის დამრიგებელთან მიმართებით საყვედურის მიზეზი.

მშობელმა მოითხოვა ინციდენტის ამსახველი ვიდეოჩანაწერების დათვალიერება, თუმცა სკოლამ აღნიშნული თხოვნა უარყო და ასევე უარი განაცხადა მშობელთა კრების მოწვევაზე. მიუხედავად ამისა, მშობლები თავად გამოცხადდნენ სკოლაში, სადაც მათ მხოლოდ დირექტორი შეხვდათ.

მშობლის თქმით, დირექტორი შეხვედრაზე შევიდა უკმაყოფილო ტონით, გაამახვილა ყურადღება პირად დატვირთვაზე და აღნიშნა, რომ მშობლების მიერ გადახდილი თანხა მას ხელფასებზეც კი არ ჰყოფნის. კლასის დამრიგებელი შეხვედრას არ დასწრებია, დირექტორის განმარტებით - ერთ-ერთი მშობლის მიმართ არსებული უკმაყოფილების გამო, რომელმაც დამრიგებელს "ბუტაფორია" უწოდა.

მშობელი აღნიშნავს, რომ დირექტორი ახორციელებს ერთპიროვნულ მმართველობას, არ იჩენს მზადყოფნას მშობლებთან თანამშრომლობისთვის, არ იჩენს სათანადო ემპათიას დაზარალებული ბავშვის მიმართ და არ უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსაფრთხოებისთვის საჭირო ეფექტურ რეაგირებას.

მშობლის განმარტებით, არც პოლიციას გაუტარებია რეალური საგამოძიებო მოქმედებები, რის შედეგადაც დაზარალებული მხარე დარჩა დაუცველი როგორც სამართლებრივად, ისე მორალურად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მშობელს მომხადარი ფაქტის შემდგომ თავისი შვილი სკოლაში აღარ უტარებია და არც სხვა სკოლაში გადაუყვანია. ჩვენს შეკითხვაზე, რამეს ხომ არ დაამატებდა საჩივარს და რა სურდა სკოლიდან, განაცხადა, რომ აინტერესებდა, რა მოიმოქმედა სკოლამ [redacted] ბავშვის წინააღმდეგ და განარიდეს თუ არა იგი სკოლიდან. აქვე აღნიშნა, რომ მის შვილს პრობლემა ჰქონდა წინა სკოლაშიც, საიდანაც იგი გადმოიყვანეს, ვინაიდან მას ერთერთმა მოსწავლემ ბარძაყზე უკბინა და ამ ინციდენტების გამო იგი თავს დაუცველად გრძნობდა.

ფაქტობრივი გარემოებების გადამოწმების შედეგები:

მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა, რომ მშობლის განცხადებაში იყო გარკვეული უზუსტობები, რაც თავად მანაც დაადასტურა სატელეფონო გასაუბრების დროს. კერძოდ, დადასტურდა, რომ ბავშვის სათვალე არ გატეხილა, რაც თავისთავად ვერ გამოწვევდა თვალის არეში ნამსხვრევების არსებობას და შესაბამისად, ამ მიმართულებით კვლევაც არ იქნებოდა საჭირო.

სკოლის დირექციასთან, მასწავლებლებთან და სხვა მშობლებთან გამართული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

- [redacted] კლასის მშობლებმა აღნიშნეს, რომ ინციდენტმა თავდაპირველად შეშფოთება გამოიწვია, თუმცა შემდგომ გაანალიზეს, რომ შემთხვევა იყო არა მიზანმიმართული, არამედ ასაკობრივი ემოციის გამოხატულება და რომ ისინი ვერ დაუშვებდნენ იმას, რომ მოეთხოვათ [redacted] კლასელი მოსწავლის გაშვება სკოლიდან, რომელიც თავადაც ძალიან დაითრგუნა ამ ინციდენტის შემდეგ.

- მშობლების ნაწილი მიუთითებდა, რომ მომჩივანი მშობელი ცდილობდა მათზე ზეწოლას და ვერ ხსნიდნენ მისი მოთხოვნების არსს.
- მშობლებმა დადებითად შეაფასეს სკოლის დირექტორისა და მასწავლებლების დამოკიდებულება, მათ შორის - ბავშვებისადმი მზრუნველობა, განათლების ხარისხი და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა.
- რაც შეეხება იმ საკითხს, რომელზეც მომჩივანი განცხადებაში აღნიშნავს, რომ დირექტორმა არ მოინდომა მათთან შეხვედრა, მშობლებმა უარყვეს და აღნიშნეს, რომ დირექტორმა მყისიერად ვერ მიიღო ისინი და განსაზღვრული დრო დანიშნა შესახვედრად.
- მშობლები აღნიშნავდნენ, რომ არ განიხილავდნენ საკუთარი შვილების გადაყვანას სხვა სკოლაში. მათ ისიც კი აღნიშნეს, რომ მხოლოდ მათი შვილი, რომ დარჩეს ამ კლასში, მაინც არ გადაიყვანენ ამ სკოლიდან. ამის საფუძველს მათ აძლევთ ის, რომ მათი უფროსკლასელი შვილები, თუ მათი ახლობლები, რომლებმაც ეს სკოლა დაამთავრეს, არიან ძალიან წარმატებულები, არ დასჭირვებიათ დამატებით რეპეტიტორებთან მომზადება და შეიძინეს ის უნარები, რომლებიც მათ მთელი ცხოვრების განმავლობაში გამოადგებათ.

გამოკითხვის დროს „[redacted]" მოსწავლის, [redacted], მშობელმა აღნიშნა, რომ მომხდარი ფაქტს არ ამართლებს. მისივე განმარტებით, იგი მყისიერად დაუკავშირდა დაზარალებული მოსწავლის მშობელს, გამოხატა თანაგრძნობა და შესთავაზა როგორც ფინანსური, ასევე სამედიცინო დახმარება, რამდენადაც თავადაც ამ სფეროს წარმომადგენელია, მაგრამ მან უარი მიიღო და შემდეგშიც მის სატელეფონო ზარებს [redacted] მშობელი არ პასუხობდა. მშობელი აღიარებს, რომ მისი შვილის ქცევა დაუშვებელია და პირადად ძალიან შეწუხებულია მომხდარის გამო. მისი მონაყოლით ირკვევა, რომ ბავშვიც ძალიან განიცდის ინციდენტს, თავს უხერხულად გრძნობს და რცხვენია თანაკლასელებისა და მასწავლებლების. მშობელი ხაზს უსვამს, რომ არ ცდილობს საკუთარი შვილის გამართლებას, პირიქით, მიზნად დაისახა შვილის ფსიქოლოგიური შეფასების უზრუნველყოფა და მიმართა შესაბამის სპეციალისტს, რათა მოხდეს მომხდარის გამო მისი შვილის ქცევის მართვა და დაიცვას ბავშვის ემოციური უსაფრთხოება. **აქვე უნდა ითქვას - [redacted]ს მშობლის მონაყოლით, ირკვევა, რომ მისმა შვილმაც არაერთხელ გამოხატა თანაკლასელის [redacted].-ს მონახულების სურვილი.**

მოსწავლეებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ ინციდენტს წინ უძღოდა სიტყვიერი და ფიზიკური კონფლიქტი, რომელშიც ორივე მოსწავლე იყო ჩართული. მათი მონათხრობის მიხედვით, [redacted]-მ [redacted].-ს ფეხი ჩაჰკრა მუცლის ქვედა ნაწილში, რასაც მოჰყვა [redacted].-ს მხრიდან დაპირება, რომ ის სამაგიეროს გადაუხდიდა მას მომდევნო შესვენების დროს. მოსწავლეთა განმარტებით, სწორედ ამ დაძაბულობას მოჰყვა შემდგომში განვითარებული ინციდენტი. მათ ასევე აღნიშნეს, რომ [redacted] მათ, მათთვის უსიამოვნო სიტყვებს მაგ, ქათმის ფეხს ეძახდა.

კლასის დამრიგებლის განმარტებით, კლასში მიმდინარეობს რეგულარული აღმზრდელობითი მუშაობა. ინციდენტის დღეს იგი დროებით იმყოფებოდა სკოლის გარეთ, თუმცა გაკვეთილის დამთავრების მაუწყებელი ზარის დარეკვიდან მალევე დაბრუნდა და მოხდენილი ფაქტის მოწმე გახდა. მისივე განმარტებით სკოლის მიერ სასწრაფო დახმარების გამოძახება და მშობლისთვის ინფორმაციის მიწოდება განხორციელდა დაუყოვნებლივ. იმ გარემოებაზე, რომ იგი აღარ შევიდა შეხვედრაზე მშობლებთან სასაუბროდ, მისივე თქმით, გამოიწვია მის მიმართ ერთერთი მშობლის უხეშმა საქციელმა, რომელმაც მას „ბუტაფორია“ უწოდა.

დირექტორის განმარტებით, პოლიციის მოსვლამდე იგი იმყოფებოდა [redacted] მოსწავლესთან, შემდეგ კი გადავიდა კაბინეტში სამართალდამცავებთან თანამშრომლობის მიზნით და მათთვის ვიდეოჩანაწერის მიწოდების საჭიროებიდან გამომდინარე. მისივე თქმით, ჩანაწერში დაზიანების მიყენების მყარი ვიზუალური მასალა არ ფიქსირდება, ვინაიდან კორიდორში იმ მომენტში (შესვენების დროს) ერთდროულად ბევრი მოსწავლე იმყოფებოდა. მისივე განმარტებით, ის დღესაც ცდილობს დაუკავშირდეს [redacted] მშობელს, მაგრამ ის კონტაქტზე არ გამოდის. რაც შეეხება მოთხოვნას, „[redacted]“ სკოლიდან განრიდების თაობაზე, იგი არ ეთანხმება და მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

აღნიშნული ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე ექსპერტების მიერ შემოწმდა რიგი საკითხებისა სტანდარტების ინდიკატორებთან მიმართებით. კერძოდ:

1.1.1.2. - სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

სკოლის მისიაა - აღზარდოს მოსწავლეები პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეებად, მისცეს მათ ზოგადი განათლება მდგრადი განვითარებისთვის, ხელი შეუწყოს მოსწავლის ინტერესების გამოვლენას, გარემოზე, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვის, კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური, ტოლერანტული დამოკიდებულების ფორმირებას, სამეწარმეო უნარების, დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარებას თავისუფალი, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების წახალისებით. მისია მიიღწევა ჯანსაღი და უსაფრთხო სასკოლო გარემოს ფორმირებით, სადაც სასკოლო საზოგადოება ორიენტირებულია ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განვითარებასა და გაუმჯობესებაზე, საუკეთესო გამოცდილების გაზიარებასა და დანერგვაზე.

როგორც მისიიდან ჩანს - ის პირდაპირ მოიცავს ჩანაწერს **„ჯანსაღი და უსაფრთხო სასკოლო გარემოს ფორმირებაზე”**. ამ ფორმულირებით სკოლა საკუთარი როლის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად ასახელებს უსაფრთხო გარემოს შექმნას, რასაც მოსდევს სასკოლო

საზოგადოების მზაობა - გააუმჯობესოს საგანმანათლებლო პრაქტიკა, გააზიაროს საუკეთესო გამოცდილება და შექმნას ისეთი სოციო-კულტურული სივრცე, სადაც განვითარებას იღებს როგორც მოსწავლე, ისე მთლიანად სასკოლო საზოგადოება.

ამრიგად, სკოლის მისია სრულად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას და განსაზღვრავს სკოლას როგორც უსაფრთხო, ინკლუზიურ და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

1.2.1.2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

სკოლამ წარმოადგინა **2023–2030 წლების შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა** (შპს სკოლა-ლიცეუმი „ლამპარი“, დირექტორის ბრძანება N 01/24, 25/12/2023), რომელიც მოიცავს სკოლის **მისიას, ხედვას, ღირებულებებს, სტრატეგიულ მიზნებს**, ასევე მათი განხორციელების გეგმებსა და პერიოდულობას.

სტრატეგიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად განსაზღვრულია **სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა**, რომლის მიღწევა 2023–2030 წლებში დაგეგმილია შემდეგი სტრატეგიული მიმართულებებით:

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- ადამიანური რესურსების განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- **უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა**;
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის გაძლიერება;
- ორგანიზაციული განვითარება.

უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, და სასკოლო საზოგადოების აქტიური მონაწილეობით, წლების მიხედვით დაგეგმილია შემდეგი სამოქმედო მიმართულებები:

- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე ზრუნვა;
- უსაფრთხოების ნორმების დაცვის უზრუნველყოფა;
- უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით **პრევენციული ღონისძიებების განხორციელება**.

მოცემული სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს შვიდწლიან დოკუმენტს, რომელიც ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას და მოიცავს სკოლის მისიასთან თავსებად მიზნებსა და ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3.1.2.2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლა ვალდებულია პერიოდულად გამოავლინოს პერსონალის მართვასთან დაკავშირებული მოსალოდნელი რისკები და განსაზღვროს მათზე რეაგირების პოლიტიკა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი, რომლის ფუნქციაა პრობლემების იდენტიფიკაცია, მოსალოდნელი რისკების გამოვლენა და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრა.

სკოლას არ წარმოუდგენია 2025-2026 სასწავლო წლის მონიტორინგის გეგმა, თუმცა წარმოადგინა 2024–2025 სასწავლო წლის მონიტორინგის ჯგუფის წევრების სია და სამუშაო გეგმა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასევე არ იქნა ექსპერტებისთვის ხელმისაწვდომი დოკუმენტური მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა გეგმის შესაბამისად განხორციელებულ აქტივობებს.

რჩევა:

სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს 2025-2026 სასწავლო წლის მონიტორინგის გეგმის შემუშავება და დოკუმენტური მტკიცებულებების წარმოება მონიტორინგის ჯგუფის მიერ განხორციელებულ აქტივობებზე, განსაკუთრებით:

1. **წარდგენილი პრობლემებისა და რისკების ჩამონათვალი;**
2. **აღნიშნულ რისკებზე რეაგირების კონკრეტული ღონისძიებები და პროცედურები.**

ეს ნაბიჯი ხელს შეუწყობს უფრო გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულ პერსონალის მართვის პროცესს და გააძლიერებს სკოლაში არსებულ პრევენციულ და ინტერვენციულ პოლიტიკას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3.1.2.4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
სკოლას, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში (დირექტორის ბრძანება №01/24, 25/12/2023) გაწერილი აქვს სკოლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. პერსონალის პირად საქმეში განთავსებულია შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს საკვალიფიკაციო შესაბამისობას.

ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა მე-2 კლასის დამრიგებლის პირადი საქმე, სადაც წარმოდგენილია:

- ცნობები ნასამართლეობის, უფლების ჩამორთმევის და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ;
- სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცნობა MES 8 25 0001051757 (02/09/2025) — ბუნებისმეტყველებაში საგნის გამოცდის წარმატებით დაძლევის შესახებ;
- ბაკალავრის დიპლომი;
- პირადობა;
- ღია კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ ბრძანება №05/09 (03/09/2025) და შესაბამისი ოქმი (11/09/2025).

წარმოდგენილი მასწავლებელი მაძიებელია და მას სკოლის დირექტორის განმარტებით, დანიშნული ჰყავს მენტორი, რომელიც მას მუშაობაში დახმარებას უწევს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3.2.1.1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები

სკოლაში, დირექტორის ინდივიდუალური ბრძანების საფუძველზე, დაფუძნებულია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ამ ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დამტკიცებული დებულებით, რომელიც ამომწურავად ასახავს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირების მექანიზმებს, კვლევის ფორმატებსა და პროცესების მონიტორინგის პრინციპებს.

სკოლის დირექტორთან გამართული ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულება ატარებს საჭიროებათა კვლევას. აღნიშნული კვლევა მოიცავს როგორც მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესების შეფასებას, ისე მასწავლებელთა ინდივიდუალური და ჯგუფური პროფესიული განვითარების მოთხოვნილებების გამოვლენას.

სკოლამ წარმოადგინა პედაგოგთა საჭიროებების დადგენის მიზნით გამოყენებული კითხვარები, რომელთა მთავარი ამოცანაა თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ძირითადი მიმართულებებისა და მათთვის საჭირო მხარდაჭერის იდენტიფიცირება.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო პერსონალის განვითარების გეგმას 2025-2026 სასწავლო წლისთვის. ეს გეგმა შემუშავებულია 2024-2025 სასწავლო წელს გაკვეთილებზე დასწრებისა და კითხვარების მეშვეობით ჩატარებული კვლევების ანალიზის შედეგების საფუძველზე.

გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ახალგაზრდა და მაძიებელ მასწავლებელთა პროფესიული ჩართულობის მხარდაჭერას. ამის კონკრეტული მაგალითია მაძიებელ მასწავლებელ ნ.ყ.-სთვის ტუტორის (ბიოლოგიის უფროსი მასწავლებელი, მ. წ.) დანიშვნა და მის მიერ შემუშავებული ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმა.

ტუტორის უშუალო დაკვირვების საფუძველზე, დადგინდა მაძიებელ მასწავლებლის ძლიერი მხარეები (მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, კვლევის ელემენტების ინტეგრირება, მოტივაცია). თუმცა, ანალიზი მიუთითებს რამდენიმე სფეროზე, სადაც გაუმჯობესებაა საჭირო:

1. დროის ეფექტური მართვა;
2. კოლეგიალური დაკვირვების დოკუმენტირების პროცესის სრულყოფა.

ტუტორის მიერ სამოქმედო რეკომენდაციები დაგეგმილია შემდეგნაირად:

- დროის მართვის გაუმჯობესება: ტუტორის მიერ მომზადდება და განხორციელდება ინდივიდუალური ტრენინგ-მოდული, რომელიც ფოკუსირებული იქნება გაკვეთილის დროის დაგეგმვისა და მართვის თანამედროვე მეთოდებზე (მაგ., პომოდოროს ტექნიკის ან აისენჰაუერის პრინციპის ადაპტირება სასკოლო კონტექსტში).
- დოკუმენტირების სტანდარტიზაცია: რეკომენდებულია კოლეგიალური დაკვირვების ერთიანი ფორმატის (შაბლონის) შემუშავება და დანერგვა. ეს შაბლონი უნდა მოიცავდეს მკაფიო გრაფებს, რომლებიც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას, ობიექტურობას და ანგარიშვალდებულებას. ახალი სისტემა ხელს შეუწყობს მხოლოდ ფაქტებზე დაფუძნებული უკუკავშირის დოკუმენტირებას.

წარმოდგენილი ტუტორის დასკვნა ეხება იმ მაძიებელ მასწავლებელს, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს მომჩივანი მშობლის შვილის კლასის დამრიგებელს. ეს ფაქტი ხაზს უსვამს სკოლის მზაობას, უზრუნველყოს თანამშრომელთა ხარისხიანი პროფესიული მხარდაჭერა.

გეგმაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ახალგაზრდა და მაძიებელ მასწავლებელთა პროფესიული ჩართულობის მხარდამჭერ აქტივობებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3.3.1.3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

შპს სკოლა-ლიცეუმი „ლამპარის“ „საჩივრებისა და განცხადებების განხილვის წესი“ წარმოადგენს სკოლის მართვის სისტემის ფუნდამენტურ დოკუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიან, გამჭვირვალე და ყოვლისმომცველ ადმინისტრაციულ პროცესებს. წესი არეგულირებს არა მხოლოდ მოსწავლეებისა და მასწავლებლების, არამედ მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინტერესებსაც. მუხლი 1.2 და მუხლი 14.1 ცალსახად ადასტურებს, რომ მშობლებს აქვთ სრული უფლება, მიმართონ სკოლას საჩივრით, როგორც ზოგადი საკითხების, ისე მათი ან მათი შვილის უფლებების დარღვევის კონკრეტული შემთხვევების გამო. ეს უზრუნველყოფს, რომ მშობლის ხმა იყოს ინტეგრირებული სკოლის ანგარიშვალდებულების მექანიზმებში.
დოკუმენტი ადგენს სტანდარტებს პროცესის სამართლიანობისთვის:

1. ობიექტურობა: გათვალისწინებულია აცილების დეტალური პროცედურა, რათა გამოირიცხოს ნებისმიერი ინტერესთა კონფლიქტი გადაწყვეტილების მიღებისას.
2. ვადები და სიზუსტე: წესით დადგენილია მკაფიო ვადები (მაგ., განცხადებისთვის 10 სამუშაო დღე, საჩივრისთვის 1 თვე), რაც პროცესს ხდის დროულს და ანგარიშვალდებულს. დადგენილია რეგულაციები ხარვეზების აღმოფხვრისთვის და მკაცრდება რეგისტრაციის წესები.

სკოლა-ლიცეუმი „ლამპარის“ მიერ დამტკიცებული ეს წესი უზრუნველყოფს, სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის, მათ შორის მშობლების უფლებების დაცვას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3.3.1.4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლა-ლიცეუმი „ლამპარის” მიერ დამტკიცებული დოკუმენტები „ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“ და „მშობელთან ურთიერთობის დებულება“ ერთობლივად ქმნის ინსტიტუციურ ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების დემოკრატიულ, ინკლუზიურ და ანგარიშვალდებულ მართვას.

დოკუმენტის „ძირითადი უფლებები და თავისუფლებები” თანახმად, უფლებები ვრცელდება თანაბარ პირობებში მოსწავლეზე, მშობელზე და მასწავლებელზე. სკოლა მკაცრად კრძალავს დისკრიმინაციას, გარანტირებულია ძირითადი სამოქალაქო თავისუფლებები, როგორიცაა გამოხატვის, შეკრებისა და გაერთიანების უფლება, ასევე რწმენის თავისუფლება. სკოლა ვალდებულებას იღებს შექმნას უსაფრთხო და არაძალადობრივი გარემო, დაიცვას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და გამოიყენოს დისციპლინური მეთოდები,

რომლებიც ეფუძნება ღირსების პატივისცემას. დამრიგებელსა და მასწავლებლებს ეკისრებათ ვალდებულება, რომ მშობელთან დაამყარონ ნდობასა და პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობა. უზრუნველყოფილია დროული ინფორმირება მოსწავლის აკადემიურ, სოციალურ თუ ემოციურ საჭიროებებზე, მრავალფეროვანი არხების გამოყენებით (ელ. ჟურნალი, სავალდებულო შეხვედრები, ინდივიდუალური საუბრები).

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით და დირექციასთან გასაუბრებით, დგინდება, რომ სკოლას აღებული აქვს ვალდებულება, სასწავლო პროცესი ეფუძნებოდეს არა მხოლოდ აკადემიურ მიზნებს, არამედ დემოკრატიულ ღირებულებებს, გამჭვირვალობასა და მშობელთა აქტიურ თანამშრომლობას. ამის დასტურად სკოლამ წარმოადგინა მშობელთა კითხვარები, რომლებიც მოიცავს იმ ძირითად ასპექტებს, რომლებიც აუცილებელია სკოლაში ეფექტიანი სწავლებისა და სწავლის ხელშემწყობი გარემოს შესაქმნელად.

სკოლამ ასევე წარმოადგინა 2021 წლის 8 იანვარს განხორციელებული მშობელთა კითხვარის (ფორმა 003) ანალიზი, რომელიც ასახავს მშობელთა კმაყოფილებასა და ნდობას სასწავლო პროცესის, კომუნიკაციისა და ინსტიტუციური მართვის მიმართ.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას მომდევნო წლებში ჩატარებული მსგავსი გამოკითხვები არ წარმოუდგენია.

რჩევა

შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა, რომ უზრუნველყოს მშობელთა კმაყოფილების კვლევების **რეგულარული და სისტემატური ჩატარება** (წელიწადში მინიმუმ ერთხელ), რათა:

1. უზრუნველყოს **უკუკავშირის უწყვეტობა** და შეინარჩუნოს დინამიკური კონტროლი სასწავლო პროცესის ეფექტიანობაზე.
2. მოახდინოს **დროული რეაგირება** ნებისმიერ ახალ გამოწვევაზე ან კმაყოფილების დაქვეითების ნიშნებზე.
3. დაამტკიცოს დადებითი ტენდენციების **მდგრადობა** წლების განმავლობაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3.4.1.3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლა-ლიცეუმი „ლამპარი" უზრუნველყოფს სასწავლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის ბრძანებით (№06/ნ) დადგენილი წესებისა და პირობების შესაბამისად.

ამ მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს შესაბამისი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი შეთანხმების პროცესში გაგზავნილ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. სამინისტრომ (წერილი MES 0 22 0001480819, 21/11/2022) რესურსცენტრის მეშვეობით აცნობა სკოლას, რომ დოკუმენტში დაფიქსირდა ტექნიკური ხასიათის ხარვეზები რამდენიმე მუხლში. ამ ხარვეზების გარდა, სამინისტროს სხვა შენიშვნები წარმოდგენილ წესებთან დაკავშირებით არ გააჩნია.

სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზის ნომერი (112), ასევე განათლების სამინისტროსა და მანდატურის სამსახურის საკონტაქტო ინფორმაცია, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

წესრიგის დაცვის მიზნით, სკოლაში დანერგილია მორიგეობის სისტემა და წარმოდგენილია შესაბამისი მორიგეობის ცხრილი. თუმცა, უსაფრთხოების ფუნქციების შესრულებაზე განსაზღვრული პირის (ან პირების) შესახებ ინფორმაცია არ წარმოუდგენია.

ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ საჭიროა უსაფრთხოების სფეროში პასუხისმგებელი პირების დოკუმენტური განსაზღვრა და მათი ფუნქციების მკაფიო გაწერა, რათა სრულად იყოს უზრუნველყოფილი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის სისტემის ანგარიშვალდებულება, რასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა შესაბამისი რჩევა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3.4.1.4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან და მშობლებთან გამართული გასაუბრების დროს, ყველა მხარე ერთხმად აღნიშნავდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს ემოციურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. ამის მისაღწევად სკოლა იყენებს საგანმანათლებლო მიდგომას: დამრიგებლები მოსწავლეებს სისტემატურად აცნობენ მათ უფლებებსა და მოვალეობებს. ეს პრაქტიკა ხელს უწყობს პასუხისმგებლობისა და თანასწორობის განცდის გაძლიერებას მოსწავლეებში. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა აღნიშნული კლასის 2025-2026 სასწავლო წლის სადამრიგებლო პორტფოლიო, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- ✓ დამრიგებლის სამუშაო გეგმა;
- ✓ მოსწავლეთა მონაცემები;
- ✓ კლასში შემსვლელი მასწავლებლები;
- ✓ მოსწავლეთა მორიგეობის სია;
- ✓ სახელმძღვანელოების ჩამონათვალი;
- ✓ საგაკვეთილო ცხრილი;
- ✓ სადამრიგებლო საათის თემატიკა;
- ✓ სადამრიგებლო თემატიკის ჩატარების მიზანი და განრიგი;

- ✓ სადამრიგებლო თემატიკის ჩანაწერი;
- ✓ კლასთან ჩასატარებელი ღონისძიებები და აქტივობები;
- ✓ მშობელთა კრების ოქმები;
- ✓ სემესტრული შედეგები;
- ✓ დამრიგებლის ანგარიში.

სადამრიგებლო თემატიკის ფარგლებში დაგეგმილია ისეთ თემებზე საუბარი როგორიცაა: შემწყნარებლობის განსაზღვრა და ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენება, მე და ჩემი მეგობრები, საერთო ინტერესები და სურვილები, მოზარდთა უფლებები და მოვალეობები, სკოლა, ოჯახი, საზოგადოება, რა ზიანის მომტანია ფიზიკური ანგარიშსწორება და სხვა.

პორტფოლიოში ასევე წარმოდგენილია ჩატარებული სადამრიგებლო საათის ჩანაწერები თემებზე:

- ✓ საკლასო წესების შემუშავება, მოსწავლის მოვალეობები და უფლებები;
- ✓ ემოციები.

წარმოდგენილი სადამრიგებლო საათის თემები (მაგ., შემწყნარებლობა, ემოციები, ფიზიკური ანგარიშსწორების ზიანის მომტანი ბუნება, უფლებები და მოვალეობები) უშუალოდ ემსახურება პოზიტიური სოციალური ურთიერთობების წახალისებას და კონფლიქტის პრევენციას.

სკოლამ წარმოადგინა ასევე ინფორმაცია პროექტის „ჩავანაცვლოთ ბულინგი მეგობრობით" შესახებ. ეს პროექტი ადასტურებს, რომ სკოლა იყენებს მიზანმიმართულ ინტერვენციებს ბულინგისა და აგრესიის შემთხვევების შესამცირებლად და პოზიტიური სოციალური ურთიერთობების წასახალისებლად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასურველია სკოლა არ შემოიფარგლოს მხოლოდ ერთი პროექტით.

რჩევა

იმისათვის, რომ სკოლაში დაინერგოს მდგრადი და სისტემური პრევენციული კულტურა, რეკომენდებულია, რომ პროექტი „ჩავანაცვლოთ ბულინგი მეგობრობით" არ დარჩეს ერთჯერად ინიციატივად, არამედ გახდეს სისტემური და მისი მსგავსი პროგრამები ინტეგრირდეს სასწავლო და სადამრიგებლო პროგრამებში უწყვეტ რეჟიმში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3.4.1.6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი. სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი რომელიც მომსახურეობის ხელშეკრულებით ასრულებს თავის მოვალეობას. მის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ვებგვერდზე და სკოლის ვებგვერდზე

თუმცა დასკვნის პროექტის ფარგლებში, ინდიკატორი შეფასდა, როგორც "არ შეესაბამება", რამდენადაც ექსპერტებთან გადმოგზავნილ გადმოგზავნილ დოკუმენტებში არ იყო დაფარული მოსწავლეთა სახელები. თუმცა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება არ დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის უარყოფით შეფასებას. სკოლის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგის ჯგუფისთვის წარდგენილ დოკუმენტაციაში მოსწავლეთა პირადი საქმეები შეიცავდა დაუფარულ პერსონალურ მონაცემებს, აღნიშნული დოკუმენტაცია ექსპერტთა ჯგუფს გადაეგზავნა ავტორიზაციისა და მონიტორინგის მიზნებისთვის და ყველა შესაბამის შემთხვევაში სკოლას მოპოვებული ჰქონდა მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლების (მშობლების) წერილობითი ინფორმირებული თანხმობა როგორც დოკუმენტაციის გადაგზავნაზე, ისე მოსწავლეებთან გასაუბრების ჩატარებაზე. აღნიშნულის დასადასტურებლად სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისი წერილობითი თანხმობები.

აქვე უნდა განიმარტოს, რომ ადგილზე ვიზიტის ფარგლებში სკოლამ ექსპერტთა ჯგუფს გააცნო მშობელთა წერილობითი თანხმობები მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელი იყო ექსპერტების მიერ მოსწავლეებთან გასაუბრების სამართლებრივი საფუძვლის დასადასტურებლად, ვინაიდან მშობელთა წინასწარი თანხმობის გარეშე ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა მოსწავლეებთან გასაუბრების უფლება. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფს სკოლისთვის არ მოუთხოვია მოსწავლეთა პირადი საქმეების გადაგზავნა. შესაბამისად, როდესაც ექსპერტთა ჯგუფმა გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში იხილა მოსწავლეთა პირადი საქმეები, რომლებშიც პერსონალური მონაცემები დაფარული არ იყო, და ისინი არ ფლობდნენ ინფორმაციას პერსონალური მონაცემების გადაცემაზე გაცემული მშობელთა წერილობითი თანხმობების არსებობის შესახებ, ბუნებრივია ეს გარემოება შეფასდა როგორც პერსონალური მონაცემების დაცვის წესის დარღვევა. მაგრამ, სკოლის მიერ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად გადმოგზავნილი, მშობელთა წერილობითი ინფორმირებული თანხმობების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ სკოლას ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი მოსწავლეთა პირადი მონაცემების ექსპერტთა ჯგუფისთვის გადაცემისათვის, რის შედეგადაც დადგინდა, რომ **პერსონალური მონაცემების დაცვის მოქმედი ნორმები დარღვეული არ არის.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4.1.1.1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა

სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით განსაზღვრული უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა. მოსწავლეთა უფლებების დაცვა რეგულირდება სკოლის **შინაგანაწესით,** რომელიც უზრუნველყოფს ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს შექმნასა და ხელმისაწვდომობას.

სკოლის დირექტორის 25.12.2023 წლის N01/24 ბრძანებით შემუშავებული და დამტკიცებულია შპს სკოლა ლიცეუმი **ლამპარის**

მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესი

მოსწავლეთა შორის მედიაციის წესი წარმოადგენს სკოლა-ლიცეუმ „ლამპარში" კონფლიქტების მართვის ჩამოყალიბებულ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს პრობლემურ სიტუაციებში დროულ, მშვიდობიან და პრევენციულ ჩარევას. წესის მთავარი იდეაა, რომ კონფლიქტის გადაწყვეტა მოხდეს სამართლიანად, მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით და ბავშვების აქტიური მონაწილეობით.

მედიაციას ძირითადად ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი, მისი როლია კონფლიქტის რეალური მიზეზების იდენტიფიცირება, სიტუაციის ანალიზი, კონსტრუქციული დიალოგის მხარდაჭერა და ისეთი გარემოს შექმნა, სადაც მოსწავლეები კომფორტულად შეძლებენ საკუთარი პოზიციის დასაბუთებას. მედიატორი ინარჩუნებს მიუკერძოებლობასა და კონფიდენციალურობას და ხელს უწყობს იმას, რომ მოსწავლეები თავად მივიდნენ კომპრომისულ გადაწყვეტამდე. პროცესი იწყება კონფლიქტის გაჩენისთანავე და მოიცავს საერთო შეხვედრას, დისკუსიას, საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალურ გასაუბრებებსა და შემაჯამებელ ეტაპს. დაძაბულობის განმუხტვა, მშვიდი ატმოსფერო და თანასწორობის უზრუნველყოფა მედიაციის განუყოფელი ნაწილია.

მედიაციის დასრულების შემდეგ დამრიგებელი აგრძელებს პროცესის მონიტორინგს და ხელს უწყობს ურთიერთობების აღდგენას ერთობლივი აქტივობებით. წესის დამტკიცებასა და ცვლილებებს უზრუნველყოფს სკოლის დირექტორი.

ეს წესი უზრუნველყოფს სკოლის უსაფრთხო და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ გარემოს, სადაც კონფლიქტები განიხილება როგორც სასწავლო პროცესი და არა როგორც დასჯის საფუძველი. თუმცა არსებული ინციდენტის გათვალისწინებით, მასწავლებელმა ვერ უზრუნველყო კონფლიქტის თავიდან არიდება.

ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული

4.1.1.2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

სკოლის შინაგანაწესი განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას, ატვირთულია სკოლის ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს მის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. მშობლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა ყოველ სასწავლო წლის დასაწყისში,

მშობელთა კრებებზე და კლასის საათებზე უზრუნველყოფს: მოსწავლეთა და მშობლების ინფორმირებას სამართლებრივი უფლებების, შინაგანაწესით განსაზღვრული წახალისებისა და დისციპლინური დევნის წესების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4.1.1.3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

სკოლის დირექციასთან ინტერვიუირების პროცესში აღინიშნა, რომ მოსწავლის სკოლაში მიღების ეტაპზე მშობელთან ან მისი კანონიერ წარმომადგენელთან ფორმდება კანონმდებლობით განსაზღვრული ხელშეკრულება. ხელშეკრულება იდება ორ ეგზემპლარად: ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მშობელს, ხოლო მეორე ინახება სკოლაში.

ექსპერტებმა კონკრეტული კლასის მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადამოწმებით დაადასტურეს, რომ წარმოდგენილი ხელშეკრულებები ფორმალურ და შინაარსობრივ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. ხელშეკრულებებში ასახულია მოსწავლის მიღებასთან დაკავშირებული საკითხები, უფლებები და ვალდებულებები და მხარეთა პასუხისმგებლობები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4.1.2.2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია დოკუმენტი - „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელიც მოიცავს მოსწავლის სტატუსთან დაკავშირებული ადმინისტრაციული და აკადემიური პროცედურების სრულ ჩამონათვალს. დოკუმენტში გაწერილია პირველ კლასში ჩარიცხვის წესი, მოსწავლის სტატუსის არმქონე პირის ჩარიცხვის მოდელი, ასევე უცხოეთში მიღებული განათლების საფუძველზე ჩარიცხვის პროცედურები.

დოკუმენტი მოიცავს მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის მექანიზმებს, მობილობის პროცესის ეტაპებსა და საფეხურის/კლასის დაძლევის კრიტერიუმებს. თითოეული რეგულაცია დამყარებულია მოქმედ ეროვნულ კანონმდებლობაზე და სრულ შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამის ნორმატიულ აქტებთან:

- მოსწავლის ჩარიცხვა და სტატუსის შეჩერება რეგულირდება 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანების საფუძველზე;
- მობილობა - 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანების შესაბამისად;
- საფეხურის დაძლევის წესი - ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან, მათ შორის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებაში გაწერილ დებულებებთან შეთანხმებით.

საფეხურის დაძლევის შესახებ მოთხოვნები აისახება სკოლაში მოქმედ სასკოლო სასწავლო გეგმაშიც, რაც უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებთან მის შესაბამისობას.

წარდგენილი დოკუმენტაცია ფორმალურად ასახავს მოსწავლის სტატუსთან დაკავშირებულ პროცესებს და შესატყვისია მოქმედ რეგულაციებთან. არსებული წესები უზრუნველყოფს ადმინისტრაციული პროცედურების გამჭვირვალობასა და წინასწარ განსაზღვრულობას, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ინტერპრეტაციისა და შესაძლო ადმინისტრაციული შეცდომების რისკს.
ამასთან, დოკუმენტში წარმოდგენილი რეგულაციები ქმნის საკმარის სამართლებრივ ჩარჩოს მოსწავლის სხვადასხვა სტატუსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულად მიღებისთვის.
ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია შემთხვევათა ჩამონათვალი, როდესაც სკოლა ვალდებულია მოსწავლეს შეუჩეროს სტატუსი. კერძოდ, წესის მიხედვით, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერება სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ:
ა) მოსწავლე **45 სასწავლო დღის განმავლობაში ზედიზედ არ ესწრება სასწავლო პროცესს**, ან
ბ) არ მონაწილეობს დისტანციური სწავლების სრულად ელექტრონული მოდელით ჩატარებულ გაკვეთილებში და ამ პერიოდში.
აღნიშნული დებულება წარმოადგენს მნიშვნელოვანი პრევენციული მექანიზმს, რომელიც სკოლას საშუალებას აძლევს დროულად გამოავლინოს სასკოლო პროცესიდან მოსახვედრად გამოთიშული მოსწავლეები და მიიღოს შესაბამისი ადმინისტრაციული ზომები.
ამ კონტექსტში, და არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, სკოლამ პრევენციული დანიშნულებით მიმართა [redacted] მოსწავლის მშობელს წერილობითი შეტყობინებით. წერილში სკოლა მშობელს აცნობებს მოქმედ წესს სტატუსის შეჩერების შესახებ, რამდენადაც მოზარდი **22 ოქტომბრიდან არ ესწრება სასწავლო პროცესს**, ხოლო კომუნიკაციის არქონა ართულებს მისი მდგომარეობის შეფასებასა და მიზეზების იდენტიფიცირებას. აქვე სკოლა, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, გამოხატავს თანამშრომლობის მზაობას გაუგებრობის აღმოსაფხვრელად.
საზოგადოებრივი სკოლის მხრიდან ასეთი მიმართვა განიხილება როგორც ადრეული პროფილაქტიკური ნაბიჯი - სკოლა მშობელს აფრთხილებს მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების შესახებ, რაც ერთდროულად ემსახურება როგორც მოსწავლის ინტერესების დაცვას, ისე სკოლის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესრულებას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4.2.1.2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
სკოლაში მოქმედებს „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი", რომელიც მოიცავს როგორც პირველკლასელებისა და მობილობით გადმოსული მოსწავლეების, ასევე ენობრივი ბარიერის მქონე ბავშვების სასწავლო გარემოსთან და თანატოლებთან წარმატებული ინტეგრაციის

უზრუნველყოფისათვის საჭირო პროცედურებს. დოკუმენტში განსაზღვრულია ადაპტაციისა და დეზადაპტაციის ნიშნები, რეკომენდაციები, შესაბამისი ქმედებები და მონაწილე პირების როლები. მასწავლებლებთან და მშობლებთან გასაუბრების დროს მიღებული ინფორმაციით დგინდება, რომ ამ წესის პრაქტიკა გარკვეულ შემთხვევებში მართლაც ეფექტიანად მუშაობს — მაგალითად, განსაკუთრებით კმაყოფილებას გამოხატავდნენ იმ მოსწავლეების მშობლები, რომლებიც სხვა სკოლიდან გადავიდნენ და წინა დაწესებულებაში ვერ შეძლეს სასწავლო გარემოში ჩართულობა. მათი თქმით, ამ სკოლაში ადაპტაციის პროცესი შედარებით სწრაფად და ორგანიზებულად წარიმართა, და კონკრეტული შემთხვევებიც მოიყვანეს, როდესაც ბავშვის ინტეგრაციაში ერთობლივად ჩაერთნენ მშობელი, დამრიგებელი და თანაკლასელები.

არსებული დოკუმენტაციისა და მასწავლებლებისა და მშობლების მიერ წარმოდგენილი დადებითი პრაქტიკული მაგალითების მიუხედავად, ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზმა აჩვენა, რომ ადაპტაციის სისტემა ყველა საფეხურზე და კლასში თანმიმდევრულად და ერთიანად არ ფუნქციონირებს. დეტალური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სკოლამ ვერ უზრუნველყო [redacted] კლასის მოსწავლეთა ადეკვატური ადაპტაცია — როგორც ერთმანეთთან, ისე წესებით განსაზღვრულ სტანდარტებთან.

ადაპტაციის პროცესის არასრულფასოვნებამ და მოსწავლეთა ურთიერთობების დაურეგულირებელმა გარემომ ხელი შეუწყო კლასში დაძაბულობის მატებას, რაც საბოლოოდ გადაიზარდა იმ ინციდენტში, რომლის შესწავლაც მიმდინარეობს.

აღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ მიუხედავად ფორმალურად მოქმედი წესისა და მისი ნაწილობრივ წარმატებული გამოყენების პრაქტიკისა, სკოლაში არ განხორციელდა ადაპტაციის პროცესის სრულყოფილი, სისტემური და თანმიმდევრული მართვა ყველა მოსწავლისთვის. შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან სკოლამ ვერ უზრუნველყო ადაპტაციის მექანიზმების ეფექტიანი და თანმიმდევრული განხორციელება ყველა მოსწავლის მიმართ.
ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული

საერთო მტკიცებულებები:

- მომჩივანი მშობლის წერილი;
- სამედიცინო დასკვნები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის დირექტორთან გასაუბრების შედეგები;
- სკოლის დირექტორის მოადგილესთან გასაუბრების შედეგები;
- მე-2 კლასის მშობლებთან გასაუბრების შედეგები;
- მომჩივან მშობელთან გასაუბრების შედეგები;

- სკოლის ფილოსოფია;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- დირექტორის წერილი მომჩივან მშობელს;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- შპს სკოლა ლიცეუმი ლამპარის მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესი
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;
- პროექტი "ჩავანაცვლოთ ბულინგი მეგობრობით";
- მე-2 კლასის დამრიგებლის სამუშაო გეგმა;
- მე-2 კლასის სადამრიგებლო საათის თემები და დადასტურებები;
- მე-2 კლასის დამრიგებლის პორტფოლიო;
- მორიგეობის ცხრილი;
- 2021 წლის 8 იანვარს განხორციელებული მშობელთა კითხვარი (ფორმა 003);
- „ძირითადი უფლებები და თავისუფლებები";
- „მშობელთან ურთიერთობის დებულება";
- „საჩივრებისა და განცხადებების განხილვის წესი";
- ტუტორის დასკვნა;
- ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიში;
- პერსონალის განვითარების გეგმა - 2025-2026;
- დამრიგებლის პირადი საქმე;
- პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- 2025-2026 სასწავლო წლის მონიტორინგის გეგმა.

საბოლოო მოკლე დასკვნა

სკოლა აკმაყოფილებს ავტორიზაციის პირობებს შემდეგ ძირითად ასპექტებში:

- **ხედვა და სტრატეგია (სტანდარტი 1):** სკოლის **მისია (1.1.1.2)** და **შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა (1.2.1.2)** სრულად არის დაკმაყოფილებული, რადგან დოკუმენტები ცალსახად მიზნად ისახავს უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული სასკოლო გარემოს შექმნას.
- **პერსონალის მართვა (სტანდარტი 3.1.3.2):** სკოლა იცავს **პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს (3.1.2.4)** და უზრუნველყოფს მასწავლებელთა პროფესიულ მხარდაჭერას. **პროფესიული განვითარების მექანიზმები (3.2.1.1)** ეფექტურად მუშაობს (მაგალითად, ტუტორის დანიშვნა მაძიებელი დამრიგებლისთვის).
- **უფლებათა დაცვისა და გამჭვირვალობის მექანიზმები (სტანდარტი 3.3.4.1):** სრულად არის დაკმაყოფილებული **საჩივრებისა და განცხადებების განხილვის სისტემა (3.3.1.3)** და **რეგულაციების გამჭვირვალობა (4.1.1.2)**. სკოლის შინაგანაწესი საჯაროა, ხოლო **მოსწავლესთან/მშობელთან ხელშეკრულება (4.1.1.3)** კანონმდებლობასთან არის შესაბამისობაში.

ასპექტები, რომლებიც დაკმაყოფილდა, თუმცა გამოიკვეთა გაუმჯობესების საჭიროება

დადგინდა, რომ სკოლას გააჩნია დოკუმენტაცია, მაგრამ მისი პრაქტიკული რეალიზაცია სისტემურობას საჭიროებს:

- **უსაფრთხოების ანგარიშვალდებულება** (3.4.1.3): მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ზრუნავს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე, დაფიქსირდა, რომ დოკუმენტურად არ არის განსაზღვრული უსაფრთხოების ფუნქციების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი.
- **პრევენციის სისტემურობა** (3.4.1.4): სკოლა უზრუნველყოფს ფსიქო-ემოციურ უსაფრთხოებას, თუმცა სასურველია პროექტების სისტემურ და უწყვეტ რეჟიმში ინტეგრირება, რათა თავიდან იქნას აცილებული ერთჯერადი ინიციატივებით შემოფარგვლა.
- **მშობელთან ურთიერთობის მონიტორინგი** (3.3.1.4): სკოლას აქვს უფლებათა დაცვის მექანიზმები, მაგრამ რეკომენდებულია მშობელთა კმაყოფილების რეგულარული და სისტემატური კვლევების უზრუნველყოფა, რადგან ბოლო ანალიზი 2021 წლით თარიღდება.
- **მობილობის მართვა** (4.1.2.2): სკოლა იცავს მობილობის ფორმალურ წესებს, მაგრამ დაფიქსირდა, რომ არ არის შემუშავებული ფსიქო-სოციალური ადაპტაციის პროგრამები მობილობით გადმოსული მოსწავლეებისთვის.

ასპექტები, რომლებიც ვერ დაკმაყოფილდა

- **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა** (4.1.1.1): ეს ინდიკატორი არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან, მიუხედავად მედიაციის წესის არსებობისა, სკოლამ ვერ უზრუნველყო კონფლიქტის ესკალაციის თავიდან აცილება, რასაც უშუალოდ წინ უძღოდა მოსწავლეებს შორის სიტყვიერი და ფიზიკური კონფლიქტი.
- **მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან** (4.2.1.2).; ეს ინდიკატორი არ დაკმაყოფილდა, რადგან სკოლამ ვერ უზრუნველყო ადაპტაციის მექანიზმების ეფექტიანი და თანმიმდევრული განხორციელება ყველა მოსწავლის მიმართ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შპს ლამპარმა წარმოადგინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის შესახებ არგუმენტირებული პოზიცია, რომლითაც იგი ეთანხმება დასკვნის პროექტით განსაზღვრულ ძირითად შეფასებებს. ამასთან, გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, სკოლამ წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც ასახავს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის (ინდიკატორი 4.1.1.1), ასევე მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ეფექტიანი ადაპტაციის (ინდიკატორი 4.2.1.2) მიმართულებით დაგეგმილ ღონისძიებებს.კერძოდ, სკოლამ დაგეგმა სხვადასხვა პრევენციული და საგანმანათლებლო აქტივობა, მათ შორის: თემატური ფილმების ჩვენება და განხილვა; მოსწავლეებს შორის დისკუსიების ორგანიზება კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებზე, სასკოლო თემატიკასთან დაკავშირებული მოკლე ვიდეოებისა და ანიმაციების ჩვენება და ბავშვებთან ერთად განხილვა მათთვის გასაგები ფორმით; ასევე მობილობით გადმოსულ მოსწავლეებთან ჯგუფური დავალებების, თამაშებისა და სხვა თანამშრომლობაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელება, რომლებიც მიზნად ისახავს კომუნიკაციის გაუმჯობესებასა და გუნდური მუშაობის გაძლიერებას (ინდიკატორი 4.2.1.2).

ამასთან, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, როგოც წერილით ირკვევა, გაითვალისწინებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის იმ ნაწილებს, რომლებიც დაკმაყოფილდა, თუმცა გამოვლინდა გაუმჯობესების საჭიროება. კერძოდ, სკოლა დაგეგმავს შესაბამის ღონისძიებებს უსაფრთხოების ანგარიშვალდებულების (ინდიკატორი 3.4.1.3), პრევენციის სისტემურობის (ინდიკატორი 3.4.1.4), მშობელთან ურთიერთობის მონიტორინგის (ინდიკატორი 3.3.1.4) და მობილობის მართვის (ინდიკატორი 4.1.2.2) მიმართულებით. აღნიშნული ინდიკატორების გაუმჯობესება მიზნად ისახავს სკოლის საქმიანობის ხარისხის შემდგომ ამაღლებასა და საგანმანათლებლო გარემოს სრულყოფას.

მტკიცებულებები:

- შესაბამისობის გეგმა;
- მშობელთა თანხმობები პირადი მონაცემების გასაჯაროების საკითხებზე;
- შპს სკოლა ლიცეუმი ლამპარის წერილი ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.
- შპს სკოლა ლიცეუმი ლამპარის არგუმენტირებული პოზიცია.

თარიღი 18.12.2025

ავტორიზაციის ჯგუფის თავმჯდომარე -- ქეთევან ბოტკოველი



ავტორიზაციის ჯგუფის წევრი - თამარ მიდელაშვილი